„PKTV“-ს მიერ საჯაროდ გამოცხადებულია (www.pktv.ge) და კომისიაში წარმოდგენილია მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაცია პოლიტიკური რეკლამის/აგიტაციისათვის გამოყოფილი დროის და საეთერო დროის ტარიფებისა და გაწეული მომსახურების შესახებ.

„PKTV“-ს ეთერში კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებს არ ეძლეოდათ ყოველდღიურ ახალ ამბებში მნიშვნელოვან საკითხებზე კომენტარის გაკეთების საშუალება.





შპს „კვირა ტვ“

„კვირა ტვ“-ს საჯაროდ გამოცხადებული (www.kviratv.ge) და კომისიაში წარმოდგენილი არ აქვს მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაცია პოლიტიკური რეკლამის/აგიტაციისათვის გამოყოფილი დროის და საეთერო დროის ტარიფებისა და გაწეული მომსახურების შესახებ.

საანგარიშო პერიოდში შპს „კვირა ტვ“-ს მიერ კომისიაში არ იქნა წარმოდგენილი მაუწყებლის ყოველკვირეული ჩანაწერები, შესაბამისად, კომპანიის შესახებ ინფორმაცია ანგარიშში არ აისახა.

შპს „ტელეკომპანია ქართული არხი“


საინფორმაციო გამოშვებებში საუკეთესო დროს¹³ პოლიტიკური პარტიებიდან დრო დაეთმო მხოლოდ „ქართულ ოცნებას“ – 85.8% და „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ - 14.2% (იხ. დიაგრამა).

„ქართული არხის“ ეთერში განთავსებულია საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროგრამა „კვირის აზრები“, რომელსაც საანგარიშო პერიოდში პოლიტიკური პარტიებიდან სტუმრობდნენ „ქართული ოცნების“ (ერთხელ), „ლეიბორისტების“ (ერთხელ), „თავისუფალი დემოკრატების“ (ერთხელ), „სახელმწიფო ხალხისთვის“ (ერთხელ), „პატრიოტთა ალიანსი-გაერთიანებული ოპოზიციის“ (ერთხელ), „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ (ერთხელ), „რესპუბლიკელების“ (ერთხელ) და „ეროვნული ფორუმის“ წარმომადგენლების. ამავე გადაცემის ფარგლებში დებატებში მონაწილეობა მიიღეს „ქართული ოცნების“, „ლეიბორისტების“, „თავისუფალი დემოკრატების“, „სახელმწიფო ხალხისთვის“ (ერთხელ), „პატრიოტთა ალიანსი-გაერთიანებული ოპოზიციის“, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“, „რესპუბლიკელების“ და „ეროვნული ფორუმის“ წარმომადგენლებმა.


მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაციის შესაბამისად, „ქართული არხის“ თვითრეგულირების მექანიზმში არცერთი საჩივარი კომპანიის მიერ მიუკერძოებლობის, სამართლიანობის პრინციპისა და ბალანსის დარღვევის შესახებ არ შესულა.

„ქართული არხის“ მიერ საჯაროდ გამოცხადებულია (www.qartuliarkhi.ge) და კომისიაში წარმოდგენილია მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაცია პოლიტიკური რეკლამის/აგიტაციისათვის გამოყოფილი დროის და საეთერო დროის ტარიფებისა და გაწეული მომსახურების შესახებ.

„ქართული არხის“ ეთერში კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებს არ ეძლეოდათ ყოველდღიურ ახალ ამბებში მნიშვნელოვან საკითხებზე კომენტარის გაკეთების საშუალება.



¹³ სამაუწყებლო ბადეში საინფორმაციო გამოშვება განთავსებულია მხოლოდ საუკეთესო დროს;



შპს „ქართული ტვ“



საინფორმაციო გამოშვებებში საუკეთესო დროს¹⁴ პოლიტიკური პარტიებიდან ყველაზე მეტი დრო დაეთმო „პატრიოტთა ალიანსი–გაერთიანებულ ოპოზიციას“ – 34.4%, „სახელმწიფო ხალხისთვის“ - 29.6%, „ქართულ ოცნებას“ – 18.5%, „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ 17.5%, ხოლო ყველა დანარჩენ სუბიექტს 10%-ზე ნაკლები (იხ. დიაგრამა).

„ქართული ტვ“-ს ეთერში განთავსებულია საზოგადოებრივ–პოლიტიკური პროგრამა „ერთობის დრო“, რომელსაც საანგარიშო პერიოდში პოლიტიკური პარტიებიდან სტუმრობდნენ „პროგრესულ-დემოკრატიული მოძრაობის“ (ერთხელ), „საქართველოს ეროვნული ერთიანობის პარტიის“ (ერთხელ), „ქართული იდეის“ (ერთხელ), „საქართველოს მშვიდობისათვის“ (ერთხელ), „ზვიადის გზა უფლის სახელით“ (ერთხელ) და „პარტია საქართველოს“ (ერთხელ) წარმომადგენლები. ამავე პერიოდში „ქართული ტვ“-ს ეთერში განთავსდა წინასაარჩევნო დებატების პროგრამა, რომელსაც პოლიტიკური პარტიებიდან სტუმრობდნენ და დებატები შედგა „ჩვენების“, „პროგრესულ დემოკრატიული მოძრაობის“, „გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობის“, „საქართველოს“, „თამაზ მეჭიაური ერთიანი საქართველოსთვის“, „საქართველოს მშვიდობისათვის“, „კომუნისტური პარტიის“, „ეროვნული ფორუმის“, „ზვიადის გზა–უფლის სახელით“ და „თავისუფალი დემოკრატების“ წარმომადგენლებს შორის.

„ქართული ტვ“-ს საჯაროდ გამოცხადებული (www.qtv.com.ge) და კომისიაში წარმოდგენილი არ აქვს მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაცია პოლიტიკური რეკლამის/აგიტაციისათვის გამოყოფილი დროის და საეთერო დროის ტარიფებისა და გაწეული მომსახურების შესახებ.

¹⁴ სამაუწყებლო ბადეში საინფორმაციო გამოშვება განთავსებულია მხოლოდ საუკეთესო დროს;

„ქართული ტვ“-ს ეთერში კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებს **ნაკლებად** ეძლეოდათ ყოველდღიურ ახალ ამბებში მნიშვნელოვან საკითხებზე კომენტარის გაკეთების საშუალება.



შპს „საფერავი ტვ“

„საფერავი ტვ“-ს სამაუწყებლო ბადეში საანგარიშო პერიოდში განთავსებული არ ყოფილა ახალი ამბების პროგრამა.

„საფერავი ტვ“-ს ეთერში საზოგადოებრივ-პოლიტიკური თემატიკის პროგრამები განთავსებული არ არის.

„საფერავი ტვ“-ს საჯაროდ გამოცხადებული (www.saperavitv.ge) და კომისიაში წარმოდგენილი არ აქვს მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაცია პოლიტიკური რეკლამის/აგიტაციისათვის გამოყოფილი დროის და საეთერო დროის ტარიფებისა და გაწეული მომსახურების შესახებ.

შპს „ჯგუფი-ახალი სტილი“ (მომავალი ტვ)

საინფორმაციო გამოშვებებში საუკეთესო დროს დრო დაეთმო მხოლოდ „ქართულ ოცნებას“ – 90.7% და „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ 9.3% (იხ. დიაგრამა).


საუკეთესო დროის მიღმა საინფორმაციო გამოშვებებში დრო დაეთმო მხოლოდ „ქართულ ოცნებას“ – 88.9%, და „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ – 11.1% (იხ. დიაგრამა).



„მომავალი ტვ“-ს ეთერში განთავსებულ საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროგრამებს საანგარიშო პერიოდში პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები არ სტუმრობდნენ.


მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაციის შესაბამისად, „მომავალი ტვ“-ს თვითრეგულირების მექანიზმში არცერთი საჩივარი კომპანიის მიერ მიუკერძოებლობის, სამართლიანობის პრინციპისა და ბალანსის დარღვევის შესახებ არ შესულა.

„მომავალი ტვ“-ს საჯაროდ გამოცხადებულია (www.momavalitv.com) და კომისიაში წარმოდგენილია მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაცია პოლიტიკური რეკლამის/აგიტაციისათვის გამოყოფილი დროის და საეთერო დროის ტარიფებისა და გაწეული მომსახურების შესახებ.

„მომავალი ტვ“-ს ეთერში კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებს არ ეძლეოდათ ყოველდღიურ ახალ ამბებში მნიშვნელოვან საკითხებზე კომენტარის გაკეთების საშუალება.







**შპს „საერთაშორისო საინფორმაციო სააგენტო ევრაზია“
(ახალი საქართველო)**

საანგარიშო პერიოდში „ახალი საქართველოს“ სამაუწყებლო ბადეში ახალი ამბების პროგრამა არ განთავსებულა.

„ახალი საქართველოს“ ეთერში განთავსებულია საზოგადოებრივ პოლიტიკური პროგრამები „საუბრები დამოუკიდებელ, უპარტიო მაჟორიტარ კანდიდატებთან“, „ძალაუფლება ხალხს“, „საუბრები ჟურნალისტიკაზე“, „წყნეთის სარკე“, „საარჩევნო პანორამა“, „მათემა“. საანგარიშო პერიოდში გადაცემას „საუბრები დამოუკიდებელ, უპარტიო მაჟორიტარ კანდიდატებთან“ პოლიტიკური პარტიებიდან სტუმრობდნენ „ეროვნული ფორუმის“ (ერთხელ), „სახალხო პარტიის“ (ერთხელ) წარმომადგენლები და დამოუკიდებელი მაჟორიტარობის კანდიდატები ჰამლეტ გეგია (ოთხჯერ), თამაზ კერძევაძე (ერთხელ), გია ფაცურია (ერთხელ). ამავე პერიოდში გადაცემას „საუბრები ჟურნალისტიკაზე“ სტუმრობდა დამოუკიდებელი მაჟორიტარობის კანდიდატი ჰამლეტ გეგია (ერთხელ). საანგარიშო პერიოდში გადაცემას „წყნეთის სარკე“ სტუმრობდა დამოუკიდებელი მაჟორიტარობის კანდიდატი ჰამლეტ გეგია (ერთხელ). ამავე პერიოდში გადაცემას „საარჩევნო პანორამა“ სტუმრობდა დამოუკიდებელი მაჟორიტარი კანდიდატი ჰამლეტ გეგია (ერთხელ). საანგარიშო პერიოდში გადაცემას „მათემა“ პოლიტიკური პარტიებიდან სტუმრობდა „თამაზ მეჭიაური ერთიანი საქართველოსთვის“ (ერთხელ) წარმომადგენელი და დამოუკიდებელი მაჟორიტარი კანდიდატი ჰამლეტ გეგია (ერთხელ).

„ახალ საქართველოს“ საჯაროდ გამოცხადებული (ვებ-გვერდი არ გააჩნია) და კომისიაში წარმოდგენილი არ აქვს მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაცია პოლიტიკური რეკლამის/აგიტაციისათვის გამოყოფილი დროის და საეთერო დროის ტარიფებისა და გაწეული მომსახურების შესახებ.

შპს „ტელე-რადიო კომპანია ტვ24“
(TV24)

TV24–ს საინფორმაციო გამოშვებებში¹⁵ პოლიტიკური პარტიებისათვის დრო არ დაუთმია.

TV24–ის მიერ საანგარიშო პერიოდში არ განთავსებულა საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროგრამები.

TV24–ის მიერ კომისიაში წარმოდგენილი და საკუთარ ვებ-გვერდზე ატვირთული არ არის მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაცია პოლიტიკური რეკლამის/აგიტაციისათვის გამოყოფილი დროის და საეთერო დროის ტარიფებისა და გაწეული მომსახურების შესახებ.

შპს „თბილიფილმ-სტუდიო Tbilifilm-studio“
(Tiflis TV)

საინფორმაციო გამოშვებებში საუკეთესო დროს¹⁶ ყველაზე მეტი დრო დაეთმო „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ – 43.2%, „სახელმწიფო ხალხისთვის“ 20.4%, „ქართულ ოცნებას“ 14%, დ/კ ი. ოქრუაშვილს 11.7%, ხოლო ყველა სხვა დანარჩენ პარტიას 10% ნაკლები (იხ. დიაგრამა).

„Tiflis TV“–ს ეთერში განთავსებულია საზოგადოებრივ-პოლიტიკური თემატიკის პროგრამები „მესამე ძალა“ და „დეპუტატი“. საანგარიშო პერიოდში გადაცემას „მესამე ძალა“ პოლიტიკური პარტიებიდან სტუმრობდნენ „სახელმწიფო ხალხისთვის“ (ერთხელ) და „პატრიოტთა ალიანსი–გაერთიანებული ოპოზიციის“ (ერთხელ) წარმომადგენლები. ამავე პერიოდში გადაცემას „დეპუტატი“ პოლიტიკური პარტიებიდან სტუმრობდა „პატრიოტთა ალიანსი–გაერთიანებული ოპოზიციის“ (ერთხელ) წარმომადგენელი.



მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაციის შესაბამისად, Tiflis TV–ს თვითრეგულირების მექანიზმში არცერთი საჩივარი კომპანიის მიერ მიუკერძოებლობის, სამართლიანობის პრინციპისა და ბალანსის დარღვევის შესახებ არ შესულა.

Tiflis TV–ს მიერ (www.tiflistv.ge) და კომისიაში წარმოდგენილია მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაცია პოლიტიკური რეკლამის/აგიტაციისათვის გამოყოფილი დროის და საეთერო დროის ტარიფებისა და გაწეული მომსახურების შესახებ.

Tiflis TV–ს ეთერში კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებს **ნაკლებად** ეძლეოდათ ყოველდღიურ ახალ ამბებში მნიშვნელოვან საკითხებზე კომენტარის გაკეთების საშუალება.

¹⁵ TV24–ის მიერ კომისიაში 2016 წლის 24 ივნისს წარმოდგენილი წერილის (კომისიაში რეგისტრაციის N8–6/6071–16) შესაბამისად, ტექნიკური პრობლემებიდან გამომდინარე მაუწყებლობა ხორციელდება ხარვეზებით;

¹⁶ საუკეთესო დროის მიღმა საინფორმაციო გამოშვებებში პოლიტიკური პარტიებისათვის დრო დათმობილი არ ყოფილა.



**შპს „სიგულდა“
(TV Max)**

საინფორმაციო გამოშვებებში საუკეთესო დროს ყველაზე მეტი დრო დაეთმო „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ – 44.3%, „ქართულ ოცნებას“ 22.3%, „სახელმწიფო ხალხისთვის“ 16.9%, ხოლო ყველა სხვა დანარჩენ პარტიას 10% ნაკლები (იხ. დიაგრამა).


საუკეთესო დროის მიღმა საინფორმაციო გამოშვებებში ყველაზე მეტი დრო დაეთმო „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ – 42.9%, „სახელმწიფო ხალხისთვის“ 20.4%, „ქართულ ოცნებას“ 19.6%, ხოლო ყველა სხვა დანარჩენ პარტიას 10% ნაკლები (იხ. დიაგრამა).



„TV Max“-ის ეთერში განთავსებულია საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროგრამა „ჰორიზონტი“, რომელსაც საანგარიშო პერიოდში პოლიტიკური პარტიებიდან სტუმრობდა „საქართველოს“ (ერთხელ) წარმომადგენელი.


მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაციის შესაბამისად, „TV Max“-ის თვითრეგულირების მექანიზმში არცერთი საჩივარი კომპანიის მიერ მიუკერძოებლობის, სამართლიანობის პრინციპისა და ბალანსის დარღვევის შესახებ არ შესულა.

„TV Max“-ის მიერ კომისიაში წარმოდგენილია და საკუთარ ვებ-გვერდზე (www.tvmax.ge) ატვირთულია მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაცია პოლიტიკური რეკლამის/აგიტაციისათვის გამოყოფილი დროის და საეთერო დროის ტარიფებისა და გაწეული მომსახურების შესახებ.

„TV Max“-ის ეთერში კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებს **ნაკლებად** ეძლეოდათ ყოველდღიურ ახალ ამბებში მნიშვნელოვან საკითხებზე კომენტარის გაკეთების საშუალება.







**შპს „საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი“
(სდასუ TV)**

საინფორმაციო გამოშვებებში საუკეთესო დროს ყველაზე მეტი დრო დაეთმო „ქართულ ოცნებას“ - 37.3%, „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ 13.5%, „სახელმწიფო ხალხისთვის“ 11.9%, ხოლო ყველა დანარჩენ სუბიექტს 10%-ზე ნაკლები (იხ. დიაგრამა).


საუკეთესო დროის მიღმა საინფორმაციო გამოშვებებში ყველაზე მეტი დრო დაეთმო „ქართულ ოცნებას“ - 40.9%, „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ 13.9%, „სახელმწიფო ხალხისთვის“ 11.2%, ხოლო ყველა დანარჩენ სუბიექტს 10%-ზე ნაკლები (იხ. დიაგრამა).

„სდასუ ტვ“-ს ეთერში განთავსებულია საზოგადოებრივ-პოლიტიკური თემატიკის პროგრამა „პოლიტიკური ასპექტები“, რომელსაც საანგარიშო პერიოდში პოლიტიკური პარტიებიდან სტუმროდბნენ „სახელმწიფო ხალხისთვის“ (ერთხელ), „ქართული დასის“ (ორჯერ), „ქართული ოცნების“ (ორჯერ) და „მრეწველების“ (ერთხელ) წარმომადგენლები.


„სდასუ TV“-ს მიერ საჯაროდ არ არის გამოცხადებული (www.sdasu.edu.ge) და კომისიაში არ არის წარმოდგენილი მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაცია პოლიტიკური რეკლამის/აგიტაციისათვის გამოყოფილი დროის და საეთერო დროის ტარიფებისა და გაწეული მომსახურების შესახებ.

„სდასუ TV“-ს ეთერში კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებს ძირითადად ეძლეოდათ ყოველდღიურ ახალ ამბებში მნიშვნელოვან საკითხებზე კომენტარის გაკეთების საშუალება.


სდასუტვ (საუკეთესო დრო)




სდასუტვ



სდასუტვ (საუკეთესო დრო)



სდასუტვ



გამოვლენილი დარღვევები:

– კომისიამ ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი შეუდგინა.

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას საარჩევნო სუბიექტმა „დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი, საქართველოს პატრიოტთა ალიანსი - გაერთიანებული ოპოზიციამ“ ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის წინააღმდეგ საჩივრით 2016 წლის 26 სექტემბერს მიმართა.

დავის საგანი 2016 წლის 24 სექტემბერს ტელეკომპანია „რუსთავის 2“-ის მიერ საეთერო ბადიდან საარჩევნო სუბიექტის „დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი, საქართველოს პატრიოტთა ალიანსი - გაერთიანებული ოპოზიციის“ უფასო წინასაარჩევნო პოლიტიკური რეკლამის მოხსნის საკითხი გახდა.

ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის საჯაროდ გავრცელებული განცხადების თანახმად, ტელეკომპანიის შეფასებით, ვიდეორგოლი ქსენოფობიური შინაარსის მატერიალური იყო, რამაც განაპირობა მისი ეთერიდან მოხსნა. ტელეკომპანიამ აღნიშნული წინასაარჩევნო რეკლამა ამავე საარჩევნო სუბიექტის მიერ წარდგენილი სხვა სარეკლამო რგოლით ჩაანაცვლა.

საარჩევნო სუბიექტს მიაჩნდა, რომ ტელეკომპანია „რუსთავი 2“ უფლებამოსილი არ იყო ეთერიდან მოეხსნა და შეეფასებინა წინასაარჩევნო პოლიტიკური რეკლამა, რადგან საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 51 მუხლის, მე-6 პუნქტის შესაბამისად, საერთო ეროვნული საეთერო მაუწყებელი ვალდებულია საერთო არჩევნებისას საარჩევნო კამპანიის დროს არჩევნების დღემდე არაუგვიანეს 50-ე დღიდან თავის ეთერში ყოველ 3 საათში გამოყოს არანაკლებ 7,5 წუთისა წინასაარჩევნო რეკლამის უსასყიდლოდ განსათავსებლად და თანაბრად და არადისკრიმინაციულად განათავსოს თითოეული კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტის მიერ მისთვის წარდგენილი წინასაარჩევნო რეკლამა, იმ პირობით, რომ ამ პერიოდში ერთი საარჩევნო სუბიექტისათვის გამოყოფილი სარეკლამო დრო 90 წამს არ აღემატებოდეს (საარჩევნო სუბიექტს შეუძლია ეს დრო რამდენიმე ნაწილად დაყოს). „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 63-ე მუხლის, მე-3 პუნქტის შესაბამისად კი, წინასაარჩევნო პოლიტიკური რეკლამის შინაარსზე პასუხისმგებელია წინასაარჩევნო რეკლამის დამკვეთი.

საარჩევნო სუბიექტი „დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი, საქართველოს პატრიოტთა ალიანსი - გაერთიანებული ოპოზიციამ“ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას საკითხის შესწავლას და შესაბამის რეაგირებას სთხოვდა. საარჩევნო სუბიექტის მოთხოვნები იყო: 1. დაევალოს ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ს „დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი, საქართველოს პატრიოტთა ალიანსი - გაერთიანებული ოპოზიციის“ საარჩევნო რეკლამის ტელე-ეთერში აღდგენა; 2. პოლიტიკური სუბიექტისთვის საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული უფასო საეთერო დროის კომპენსირება; 3. პოლიტიკური/წინასაარჩევნო რეკლამის განთავსების წესების დარღვევის გამო ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის მიმართ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენა. თუმცა განხილვის პროცესში მხოლოდ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ოქმის შედგენის მოთხოვნა დარჩა ძალაში.

საკითხის დაინტერესებული პირების მონაწილეობით არსებითი განხილვის შემდეგ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ მიიჩნია, რომ ტელეკომპანია „რუსთავი 2“-მა საარჩევნო სუბიექტთან შეთანხმების გარეშე ჩაანაცვლა „დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი, საქართველოს პატრიოტთა ალიანსი - გაერთიანებული ოპოზიცია“ წინასაარჩევნო/პოლიტიკური რეკლამა, რითაც საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 51 მუხლის, მე-6 პუნქტით განსაზღვრული ვალდებულებები დაარღვია. კომისიის გადაწყვეტილებით ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის მიმართ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი შედგა და რეაგირებისთვის საქალაქო (თბილისის) სასამართლოს გადაეგზავნა.

– გამოიკვეთა რიგი მაუწყებლებისა, რომელთა სამაუწყებლო ბადეში განთავსებული არ არის ახალი ამბების ან/და საზოგადოებრივ-პოლიტიკური თემატიკის პროგრამები (შპს „საერთაშორისო საინფორმაციო სააგენტო ევრაზია“, შპს „საფერავი ტვ“, შპს „ტელეკომპანია თბილისი“, შპს „ტელერადიო კომპანია ტვ24“, შპს ტელეკომპანია „I სტერეო“, ააიპ „მედია ცენტრი ღია აფხაზეთისათვის“, ააიპ „ჟურნალისტები და იურისტები დემოკრატიისა და ადამიანის უფლებებისათვის“, შპს „თბილიფილმ-სტუდიო Tbilifilm-studio“, შპს „სიგულდა“).

„მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის ჯ) ქვეპუნქტის შესაბამისად, საერთო მაუწყებლობა არის არანაკლებ 2 თემატიკის, მათ შორის, ახალი ამბებისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური თემატიკის, პროგრამებით მაუწყებლობა;

აღნიშნული მაუწყებლების მიმართ კომისიაში მიმდინარეობს წარმოება ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების მიზნით.

– ტელეკომპანია „რუსთავი 2“-მა არჩევნებთან დაკავშირებული საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგები წესის დარღვევით გამოაქვეყნა.

ადმინისტრაციული წარმოების პროცესში ტელეკომპანია „რუსთავის 2“-ის მიერ მიმდინარე წლის პირველ ოქტომბერს საინფორმაციო გამოშვება „კურიერის“ (21:00 საათზე) მსვლელობისას [GFK Customs Research LLC](#)-ის მიერ ჩატარებული არჩევნებთან დაკავშირებული საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგების კანონით განსაზღვრული წესების დარღვევით გამოქვეყნების ფაქტი დაფიქსირდა. კერძოდ, ტელეკომპანიამ საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 51-ე მუხლის მე-11 პუნქტის ვ.ზ), ვ.თ), ვ.ი) და ვ.ლ) ქვეპუნქტები დაარღვია. ტელეკომპანიის მიმართ შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი, რომელიც შემდგომი რეაგირებისთვის გადაიგზავნა თბილისის საქალაქო სასამართლოში.

– კომისიამ ააიპ „სამოქალაქო განათლების ფონდი“ (ბრენდული სახელწოდება „ტაბულა“) წინასაარჩევნო პერიოდში ინფორმაციის წარმოუდგენლობის გამო წერილობით გააფრთხილა.

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ ააიპ „სამოქალაქო განათლების ფონდი“, ბრენდული სახელწოდება „ტაბულა“ წინასაარჩევნო პერიოდში ინფორმაციის წარმოუდგენლობის გამო წერილობით გააფრთხილა.

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 50-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საზოგადოებრივი მაუწყებელი, საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო, ასევე სამაუწყებლო ლიცენზიის მფლობელები და მაუწყებლობაზე ავტორიზებული პირები, კენჭისყრამდე არა უგვიანეს 50-ე დღიდან კენჭისყრის დღემდე, წინასაარჩევნო აგიტაციისა და პოლიტიკური რეკლამისათვის საეთერო დროის გამოყოფის დროს ვალდებული არიან „საარჩევნო პროცესში მედიის მონაწილეობისა და მისი გამოყენების წესით“ დადგენილი ფორმის შესაბამისად (დანართი N1), საჯაროდ გამოაცხადონ და კომისიას ყოველკვირეულად წარმოადგინონ შემდეგი სახის ინფორმაცია: ა) რომელი რიცხვიდან რომელ რიცხვამდე და რა პერიოდულობითაა გამოყოფილი საეთერო დრო; ბ) ერთი დღის განმავლობაში გამოყოფილი დროის ხანგრძლივობა და გრაფიკი; გ) საეთერო დროის ტარიფი; დ) გაწეული მომსახურება.

ავტორიზებულ საერთო მაუწყებლებს, მათ შორის ტელეკომპანია „ტაბულას“, ზემოაღნიშნული ვალდებულებების განმარტების მიზნით 2016 წლის 25 მაისს გაეგზავნათ კომისიის წერილი (04/1542-16; 25.05.2016), რომლის თანახმად, მათ, ასევე, ეცნობათ, რომ „საქართველოს პარლამენტის არჩევნების დანიშვნის თაობაზე“ საქართველოს პრეზიდენტის განკარგულების საფუძველზე, წინასაარჩევნო კამპანია იწყებოდა 2016 წლის 8 ივნისს.

ტელეკომპანია „ტაბულამ“ 2016 წლის 11 აგვისტოს კომისიაში წარმოადგინა წერილობითი ინფორმაცია ფასიანი და უფასო პოლიტიკური რეკლამის განთავსების ტარიფების თაობაზე, თუმცა, წინასაარჩევნო აგიტაციისა და წინასაარჩევნო/პოლიტიკური რეკლამისთვის საეთერო დროის გამოყოფისა და სამაუწყებლო ეთერში განთავსებასთან დაკავშირებით ინფორმაცია კომისიაში ყოველკვირეულად არ წარმოუდგენია.

საკითხის საჯარო განხილვის შემდეგ კომისიამ ტელეკომპანია „ტაბულას“ წერილობითი გაფრთხილების გადაწყვეტილება მიიღო.

– კომისიამ ხუთ საინფორმაციო სააგენტოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი შეუდგინა.

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ არჩევნებთან დაკავშირებული საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგების წესის დარღვევით გამოქვეყნების გამო ხუთ საინფორმაციო სააგენტოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი შეუდგინა და შემდგომი რეაგირებისთვის თბილისის (საქალაქო) სასამართლოს გადაუგზავნა.

საუბარია, მიმდინარე წლის 23 სექტემბერს ამერიკული სოციოლოგიური კომპანია Wilson Perkins Allen Research (WPA)-ის მიერ ჩატარებული არჩევნებთან დაკავშირებული საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგების გამოქვეყნებაზე.

ეს საინფორმაციო სააგენტოებია:

- შპს „მედიანიუსი“ - www.medianews.ge;
- შპს „ნიუს რუმი“ - www.ambebi.ge;
- შპს „ახალი ამბები“ - www.ipn.ge;
- შპს „ნიუს რუმი“ - www.kvirispalitra.ge;

- შპს „Georgian National News” – www.gnn.ge .

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 82-ე მუხლის მეორე პუნქტის შესაბამისად, კანონით დადგენილ ვადებში არჩევნებთან დაკავშირებული საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგების გამოქვეყნება სავალდებულო ინფორმაციის გარეშე ან გამოქვეყნებასთან დაკავშირებული სხვა წესების დარღვევა გამოიწვევს დაჯარიმებას 1 500 ლარის ოდენობით.

– რიგი გაზეთების მიერ, რომლებიც ფინანსდებიან ცენტრალური ან ადგილობრივი ბიუჯეტიდან, არ ხორციელდება კომისიაში ყოველკვირივლი ინფორმაციის წარმოდგენა.

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 50-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, არჩევნების გამოცხადებიდან არჩევნების შედეგების შეჯამებამდე გაზეთები, რომლებიც ფინანსდება ცენტრალური ან ადგილობრივი ბიუჯეტიდან, ექვემდებარებიან წინასაარჩევნო მედია მონიტორინგს. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ საქართველოს ფინანსთა სამინისტროსგან, მუნიციპალიტეტების წარმომადგენლობითი და აღმასრულებელ ორგანოებისგან, აფხაზეთის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების მთავრობებისგან ცენტრალური ან ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსებული გაზეთების თაობაზე ინფორმაცია გამოითხოვა. მიღებული მონაცემების დამუშავების შედეგად, 2016 წლის 8 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების წინასაარჩევნო პერიოდში მონიტორინგს დაექვემდებარა 30¹⁷ გაზეთი (გაზეთების შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომია კომისიის ვებ გვერდზე).

ყველა გაზეთს გაეგზავნა მოთხოვნა წინასაარჩევნო პერიოდში მონიტორინგის უზრუნველსაყოფად, „საარჩევნო პროცესში მედიის მონაწილეობისა და მისი გამოყენების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2012 წლის 15 აგვისტოს N9 დადგენილების დანართი N2-ით მოთხოვნილი ინფორმაციის წარმოდგენის თაობაზე, თუმცა 7 გაზეთი, მიუხედავად იმისა, რომ კომისიის წერილი ჩაბარდა, ინფორმაციას არ წარმოადგენს.

აღნიშნული გაზეთებია: ახალქალაქის მუნიციპალიტეტი - გაზეთი „რეგიონის ტრიბუნა“; ახალქალაქის მუნიციპალიტეტი - გაზეთი „თვითმმართველობა“; ტყიბულის მუნიციპალიტეტი - გაზეთი „ტყიბული“; ლენტეხის მუნიციპალიტეტი - გაზეთი „სვანეთი“; გორის მუნიციპალიტეტი - გაზეთი „გორის მაცნე“; ვანის მუნიციპალიტეტი - გაზეთი „საერთო სიტყვა“; წალენჯიხის მუნიციპალიტეტი - გაზეთი „ვერისის მაცნე“;

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით კომისიაზე დაკისრებული ვალდებულების ჯეროვანი შესრულების მიზნით, კომისიამ საკონტროლო შესყიდვა სცადა კერძო კომპანიების საშუალებით, თუმცა პრესის გავრცელების ბაზარზე წარმოდგენილ კომპანიებს ზემოთხსენებული გაზეთები ჩამონათვალში არ აქვთ, რის გამოც, კომისიამ კიდევ ერთხელ მიმართა შესაბამის მუნიციპალიტეტებს და სთხოვა გაზეთების წარმოდგენა.

გაზეთები, რომლებიც წარმოადგენენ წინასაარჩევნო ინფორმაციას: კასპის მუნიციპალიტეტი - გაზეთი „ახალი განთიადი“; დედოფლის წყაროს მუნიციპალიტეტი - გაზეთი „შირაქი“; თერჯოლის

¹⁷ შესწავლის ფარგლებში გამოირკვა, რომ ქუთაისის მუნიციპალიტეტის გაზეთი „უქიმერიონი“ მხოლოდ კულტურულ სიახლეებს აშუქებს.

მუნიციპალიტეტი - გაზეთი „თერჯილა“; ბაღდათის მუნიციპალიტეტი - „ჩემი გაზეთი“; თიანეთის მუნიციპალიტეტი - გაზეთი „თიანეთის მომავალი“; ამბროლაურის მუნიციპალიტეტი - გაზეთი „ამბროლაურის მოამბე“; წყალტუბოს მუნიციპალიტეტი - გაზეთი „ახალი წყალტუბო“; სამტრედიის მუნიციპალიტეტი - გაზეთი „სამტრედიის მაცნე“; ყვარელის მუნიციპალიტეტი - გაზეთი „ყვარელი“; ბოლნისის მუნიციპალიტეტი - გაზეთი „ბოლნისი“; მცხეთის მუნიციპალიტეტი - გაზეთი „მცხეთა“; სენაკის მუნიციპალიტეტი - გაზეთი „კოლხეთი“; ახმეტის მუნიციპალიტეტი - გაზეთი „ბახტრიონი“; ხაშურის მუნიციპალიტეტი - გაზეთი „ხაშურის მოამბე“; აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა - შპს „გაზეთი აჭარა და ადჟარა“; ქარელის მუნიციპალიტეტი - გაზეთი „ქარელის მოამბე“; აბაშის მუნიციპალიტეტი - გაზეთი „აბაშის მაცნე“; ნინოწმინდის მუნიციპალიტეტი - გაზეთი „არშლუისი“; სიღნაღის მუნიციპალიტეტი - გაზეთი „სიღნაღი“; ონის მუნიციპალიტეტი - გაზეთი „ონი“; გურჯაანის მუნიციპალიტეტი - გაზეთი „გურჯაანის მუნიციპალიტეტის მაცნე“; ხარაგაულის მუნიციპალიტეტი - ააიპ „მოქალაქეთა ჩართულობის და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრი“; ხობის მუნიციპალიტეტი - გაზეთი „ხობის მოამბე“.

- საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ გაზეთ „ხაშურის მოამბეს“ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი შეუდგინა.

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ გაზეთ „ხაშურის მოამბეს“ წინასაარჩევნო აგიტაციის და წინასაარჩევნო რეკლამის წესების დარღვევის გამო ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი შეუდგინა და შემდგომი რეაგირებისთვის საქალაქო (ხაშურის) სასამართლოს გადაუგზავნა. სასამართლომ გაზეთის სიტყვიერი გაფრთხილების გადაწყვეტილება მიიღო.

გაზეთ „ხაშურის მოამბის“ აგვისტოს ნომერში გამოქვეყნებულია სააგიტაციო წერილი სახელწოდებით - „არც ერთი ნაციონალი პარლამენტში“, რომელსაც არ ჰქონდა აღნიშვნა გამოქვეყნებული მასალა იყო ფასიანი თუ უფასო პოლიტიკური რეკლამა.

საქართველოს ორგანული კანონის „საარჩევნო კოდექსის“ და „საარჩევნო პროცესში მედიის მონაწილეობისა და მისი გამოყენების წესის შესახებ“ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2012 წლის 15 აგვისტოს №9 დადგენილების შესაბამისად, სააგიტაციო წერილისა და პოლიტიკური რეკლამის გამოქვეყნებისას წერილის სათაურამდე და რეკლამის კუთხეში უნდა იყოს წარწერა „ფასიანი პოლიტიკური რეკლამა“ ან „უფასო პოლიტიკური რეკლამა“.

რეკომენდაციები:

„რუსთავი 2“-ის ეთერში განთავსებულია არაპოლიტიკური გადაცემები „ვანოს შოუ“ და „ნანუკა ჟორჯოლიანის შოუ“, რომლებსაც საანგარიშო პერიოდში სტუმრობდნენ ირაკლი ალასანია (თავისუფალი დემოკრატები) და სანდრა რულოვსი (ერთიანი ნაციონალური მოძრაობის) წარმომადგენლები.

კომისიას მიაჩნია, რომ წინასაარჩევნო კამპანიის სამართლიანად, მიუკერძოებლად და დაბალანსებულად გაშუქების მიზნით, მნიშვნელოვანია მაუწყებლებმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ამა თუ იმ საარჩევნო სუბიექტის წინასაარჩევნო კამპანიის გაშუქების დროს იმ

სახელმძღვანელო რეკომენდაციებს, რაც გათვალისწინებულია საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2009 წლის 12 მარტის N2 დადგენილებით დამტკიცებული „მაუწყებელთა ქცევის კოდექსით“ და გაითვალისწინონ, რომ საარჩევნო პერიოდში კანდიდატის ან პარტიის წარმომადგენლის მონაწილეობა იმ პროგრამაში, რომელიც არ არის პოლიტიკასთან პირდაპირ კავშირში, დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოლაპარაკება პროგრამაში მონაწილეობის შესახებ შედგა საარჩევნო პერიოდის დაწყებამდე. კანდიდატს არ უნდა მიეცეს საშუალება გამოთქვას პოლიტიკური მოსაზრებები ან სხვა გზით მოახდინოს საკუთარი კანდიდატურის რეკლამირება.

წინასაარჩევნო პერიოდთან დაკავშირებული კომისიის მიერ გატარებული სხვა ღონისძიებები:

– „რუსთავი 2“-ის მიმართ ინფორმაციის წარმოდგენლობის გამო დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება გრძელდება.

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში ჟურნალისტ შალვა რამიშვილის განცხადების საფუძველზე, რომლითაც ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის დაკვეთით [GFK Customs Research LLC](#) მიერ ჩატარებული საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგების კანონიერება დადგა ეჭვქვეშ, დაწყებული მოკვლევა გრძელდება.

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 51-ე მუხლით გათვალისწინებული არჩევნებთან დაკავშირებული საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგების გამოქვეყნების წესებთან შესაბამისობის დროულად დადგენის მიზნით, ასევე, ზემოთხსენებული საკითხის მიმართ არსებული მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის არსებობის გამო, კომისიამ ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ს, [GFK Customs Research LLC](#), ჟურნალისტ შალვა რამიშვილს წერილობით მიმართა და საქმესთან არსებული დოკუმენტაციის წარმოსადგენად ვადა 2016 წლის 5 ოქტომბრამდე განუსაზღვრა.

ტელეკომპანია „რუსთავი 2“-მა [GFK Customs Research LLC](#) კვლევასთან დაკავშირებული ინფორმაცია კომისიის მიერ მისთვის განსაზღვრულ ვადაში წარმოადგინა, თუმცა კომისიის მოსაზრებით არასრულყოფილად, რის გამოც, „რუსთავის 2“-ის მიმართ ადმინისტრაციული წარმოება დაიწყო. მიმდინარე წლის 6 ოქტომბერს გამართულ სხდომაზე, კომისიამ ტელეკომპანიას დამატებითი ინფორმაციის წარმოდგენა მოსთხოვა. „რუსთავი 2“-მა კომისიის მოთხოვნის შესასრულებლად ვადა ითხოვა. საკითხის განხილვა 7 ოქტომბერს გაგრძელდა, თუმცა ტელეკომპანიის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის სრულყოფილების და საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 51-ე მუხლის მე-11 პუნქტის ა), ბ), გ), დ) და ე) ქვეპუნქტებთან შესაბამისობის დადგენა ვერ მოხერხდა, რის გამოც, საკითხის განხილვა კიდევ ერთხელ გადაიდო.

– კომისიამ ტელეკომპანიების შპს „სტუდია მანეტროს“, შპს „ტელეიმედის“, შპს „ჯი-დი-ეს თი-ვის“ და შპს „სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“-ის წინააღმდეგ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ განცხადება განიხილა.

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ პოლიტიკური გაერთიანება „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ განცხადების საფუძველზე ტელეკომპანიების შპს „სტუდია მანეტროს“, შპს „ტელეიმედის“, შპს „ჯი-დი-ეს თი-ვის“ და შპს „სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“-ის ბადეში

განთავსებული სარეკლამო რგოლი შეისწავლა, რომელიც თბილისში ა. პუშკინის ქუჩაზე ორმხრივი მოძრაობის აღდგენას ეხებოდა.

განცხადების ავტორი მიიჩნევდა, რომ აღნიშნული სარეკლამო რგოლი წინასაარჩევნო პოლიტიკური რეკლამის ნიშნებს შეიცავდა და სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით პოლიტიკური გაერთიანება „ქართული ოცნების“ ინფრასტრუქტურული პროექტების საარჩევნო კამპანიას წარმოადგენს, რაც დაუშვებელია. პოლიტიკურმა გაერთიანებამ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიისგან ზემოთაღნიშნული სარეკლამო რგოლის შესწავლა და მისი სტატუსის განსაზღვრა მოითხოვა.

კომისიამ საკითხის მოკვლევის შემდეგ დააგდინა, რომ აღნიშნული ვიდეო რგოლი ტელეკომპანიების შპს „სტუდია მაესტროს“, შპს „ტელეიმედის“, შპს „ჯი-დი-ეს თი-ვის“ და შპს „სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“-ის ბადეში თბილისის მერიის დაკვეთით სარეკლამო კომპანიების საშუალებით, ფასიანი რეკლამის სტატუსით იყო განთავსებული.

საკითხის განხილვის საჯარო სხდომას ოთხივე ტელეკომპანიის წარმომადგენელი ესწრებოდა, მათი განმარტებით, თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის დაკვეთით განთავსებული სარეკლამო რგოლი მათ სამაუწყებლო ბადეებში „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად იყო განთავსებული. კანონის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის მიწოდების მიზნით შეისყიდოს მაუწყებლის მომსახურება.

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ შესაბამისად, პოლიტიკური/წინასაარჩევნო რეკლამა არის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში (შემდგომ – მედია) გასული ისეთი შინაარსის რეკლამა, რომელიც მიზნად ისახავს საარჩევნო სუბიექტის არჩევისთვის ხელის შეწყობას/ხელის შეშლას, რომელშიც ნაჩვენებია საარჩევნო სუბიექტი ან/და მისი არჩევნებში მონაწილეობის რიგითი ნომერი და რომელიც შეიცავს წინასაარჩევნო კამპანიის ნიშნებს, ან მოწოდებას სარეფერენდუმოდ/საპლემბისციტოდ გამოტანილი საკითხის გადაწყვეტის სასარგებლოდ ან საწინააღმდეგოდ.

ვიდეორგოლში მოსახლეობას თბილისში ა.პუშკინის ქუჩაზე ორმხრივი მოძრაობის აღდგენის თაობაზე მიეწოდება ინფორმაცია. ვიდეო რგოლში ნაჩვენები არ არის არც საარჩევნო სუბიექტი და არც საარჩევნო სუბიექტის არჩევნებში მონაწილეობის რიგითი ნომერი, შესაბამისად, არ განხორციელებულა არცერთი საარჩევნო სუბიექტის იდენტიფიცირება, ისევე როგორც რომელიმე პოლიტიკური პარტიის სიმბოლიკის წარმოჩენა.

„მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია შეისყიდოს მაუწყებლის მომსახურება სოციალური რეკლამის განთავსებისთვის ამ კანონის 65-ე მუხლით განსაზღვრული დროის ხანგრძლივობის მინიმალური ზღვრის მიღმა **სოციალური რეკლამის განთავსების ან/და საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის გავრცელების მიზნით** და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს გათვალისწინებულია მისი ბიუჯეტის ცალკე მუხლით. ასეთ შემთხვევაში, თუ ადმინისტრაციული ორგანო არის შემსყიდველი ორგანიზაცია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, შესყიდვა ხორციელდება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით.

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის შეფასებით, ზემოაღნიშნული ვიდეო რგოლი შეესაბამება „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 66¹ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

–კომისიამ შპს „სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“-ის წინააღმდეგ „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ საჩივარი განიხილა.

გადაცემა „არჩევანში“, რომელიც ეთერში გავიდა 2016 წლის 19 სექტემბერს, პ/გ „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ სამეგრელოს რეგიონის მაჟორიტარი კანდიდატების გამოსვლის დროს, პირდაპირ ეთერში მიმდინარეობდა ინტერაქტივი, რომელშიც სატელეფონო ზარების მეშვეობით მოქალაქეებს შეეძლოთ დაეფიქსირებინათ თავიანთი პოზიცია - თუ რომელი პოლიტიკური პარტიის მიერ წარმოდგენილ არგუმენტებს იზიარებენ. განცხადების თანახმად, აღნიშნული გადაცემის მსვლელობისას პროცენტული მაჩვენებელით უმრავლესობა მხარს უჭერდა “ქართულ ოცნების” წარმომადგენელს, რის შემდეგაც ინტერაქტივი საექვოდ გაითიშა, რაზედაც გადაცემის წამყვანმა განმარტა, რომ ადგილი ჰქონდა ტექნიკურ ხარვეზს, რასაც არ ეთანხმება განცხადების ავტორი და მომართა კომისიას საკითხის შესასწავლად.

კომისიამ იმსჯელა და გადაწყვიტა, რომ პ/გ „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ განცხადება, „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 52-ე მუხლის შესაბამისად, მაუწყებლის თვითრეგულირების მექანიზმის ფარგლებში განხილვის საგანია. “მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მაუწყებელი ვალდებულია ქცევის კოდექსის საფუძველზე შექმნას თვითრეგულირების ეფექტიანი მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს საჩივრების განხილვასა და მათზე დროულ და დასაბუთებულ რეაგირებას; „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 59¹ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ამ კანონის 52-ე, 54-ე, 56-ე და 59-ე მუხლებით გათვალისწინებული ნორმების, აგრეთვე ქცევის კოდექსით დადგენილი ეთიკური ნორმებისა და პროფესიული სტანდარტების დარღვევებზე რეაგირება შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ ამ კანონის მე-14 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული თვითრეგულირების მექანიზმის ფარგლებში.